აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 40

6 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

პოლიტიკური გაერთიანების „დემოკრატიული სიმართლის პარტია“ პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი ფუტკარაძე რატი (პარტიული სიის რიგით №16) 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის არ წარმოადგენს პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირს, რის გამოც უარი უნდა ეთქვას საარჩევნო რეგისტრაციაში გატარებაზე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, 41-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ**:

1. უარი ეთქვას რეგისტრაციაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, პოლიტიკური გაერთიანების „დემოკრატიული სიმართლის პარტია“ პარტიული სიით წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს (პარტიული სიის რიგით №16) რატი ფუტკარაძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე